



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №03

2017 წლის 7 მარტი

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის N26 დადგენილებით დამტკიცებულ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის“ (www.matsne.gov.ge; 03/01/2017წ; სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.117.016308) მე-3 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დაფინანსება

1. სამედიცინო მომსახურებისათვის საყოველთაო და სხვა სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების მოსარგებლის გადასახდელი ნაწილი დაფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, წლიური ლიმიტი არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა (გარდა დიალიზისა, „C ჰეპატიტის“ დიაგნოსტიკისა და კომპიუტერული ტომოგრაფიისა), ხოლო დიალიზით მოსარგებლეთათვის წლიური ლიმიტი განისაზღვროს არაუმეტეს 3000 (სამი ათასი) ლარისა.

2. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ვერ ისარგებლებენ სახელმწიფო ბიუჯეტის ლიმიტის ფარგლებში 100%-ით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამის მოსარგებლები (გარდა ონკოლოგიური ავადმყოფებისა), ასევე ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე